კომუნიკაციების კომისიის წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ანგარიში

თვისებრივი
(01.09.2020 – 30.09.2020)

კომუნიკაციების
კომისია

კომუნიკაციების კომისიის მიერ ჩატარებული თვისობრივი და რაოდენობრივი მედიამონიტორინგის შედეგები

(01.09.2020 – 30.09.2020)

კომუნიკაციების კომისია 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის ანგარიშს აქვეყნებს, რომელიც 2020 წლის 01 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდს მოიცავს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 6 საერთო საეთერო ეროვნული მაუწყებლის თვისობრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი. აღნიშნული სამაუწყებლო არხებია: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია, რუსთავი 2, ტელეიმედი, ტელეკომპანია პირველი და მთავარი არხი. მონიტორინგი მიმდინარეობდა საუკეთესო დროს, კერძოდ 19:00 საათიდან 24:00 საათამდე პერიოდში.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანს წარმოადგენს:

ა) წინა საარჩევნო რეკლამა;

ბ) წინა საარჩევნო დებატები;

გ) ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;

დ) წინა საარჩევნო აგიტაცია;

ე) საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები;

2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მედია მონიტორინგს, კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად, კონკურსის წესით სპეციალურად შერჩეული პირები ახორციელებენ.

კომუნიკაციების კომისიის მონიტორები სპეციალური ტრენინგის ფარგლებში ევროპის საბჭოს მედიაექსპერტმა, ორგანიზაცია „მემო 98“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა რასტო კუზელმა გადაამზადა. ექსპერტმა მონიტორებს, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით, წინასაარჩევნო კამპანიის დროს თვისებრივი მედიამონიტორინგის განხორციელების თავისებურებები და სპეციფიკა გააცნო. მონიტორებმა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად გაიღრმავეს ცოდნა წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ჩატარებაში.

მონიტორინგის პროცესში დეტალური ანალიზი განხორციელდა სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისა და

საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. დაკვირების საგანია ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია სწავლობს ყოველ კონკრეტულ საკითხს და ატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნული არხების მონიტორინგი მოიცავდა რაოდენობრივ და თვისობრივ ნაწილს. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს სუბიექტისთვის დათმობილ დროს, პირდაპირ და ირიბ გაშუქებას და გაშუქების ტონს. <u>**პირდაპირ**</u> დათმობილი დროის ფარგლებში ანალიზდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობს/მონაწილეობს გადაცემაში, <u>**ირიბად**</u> დათმობილი დროის ფარგლებში, გაანალიზებულია მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო. როგორც პირდაპირ, ისე ირიბად გაშუქებისას მონიტორის მიერ ხდება გაშუქების ტონის შეფასება სამი კატეგორიის შესაბამისად: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური.

მონიტორიგნის შედეგებში ინფორმაცია ასევე ჩაშლილია გენდერულ ჭრილშიც, კერძოდ, ცალკეულ მაუწყებლებზე საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში ქალი და კაცი პოლიტიკოსებისათვის დათმობილი ჯამური დრო.

თვისობრივი მონიტორინგის დროს მაუწყებლზე დაკვირვება ხორციელდება შემდეგი სამაუწყებლო სტანდარტების ჭრილში: ბალანსი, სიზუსტე, რელევანტურობა, მრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება, სიძულვილის ენა, დეზინფორმაცია, დისკრიმინაცია და ვიზუალური/აუდიო მანიპულაცია.

<u>**ძირითადი მიგნებები:**</u>

- საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებებში ეთიკური სტანდარტები და წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებისას ბალანსი დაცული იყო. ამასთან, მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას სიუჟეტებში ხელისუფლების (მთავრობის და „ქართული ოცნების“) წარმომადგენლები სარგებლობდნენ როგორც პირველი, ასევე, დასკვნითი სიტყვის უფლებით. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში წამყვანები გამოირჩევიან კრიტიკული კითხვებით და ანალიზით, მათ

შორის ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. ყველაზე მეტ საარჩევნო სუბიექტს ეთერი საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაუთმო.

- აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მხარეებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება მეტწილად დაცული იყო, თუმცა, აჭარის ტელევიზიის ეთერში ყველაზე მეტი დრო აჭარის მთავრობას დაეთმო და აქედან 49% პოზიტიური გაშუქება იყო. საინფორმაციო გამოშვებებში ინტერვიუს ფორმატში ხდებოდა პოლიტიკოსების ჩართვა/სტუმრობა. გასათვალისწინებელია, რომ საანგარიშო პერიოდში ამგვარი ფორმატით პირდაპირი დრო, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ აჭარის მთავრობის წარმომადგენლებს ეთმობოდათ.
- „იმედი“ გამოირჩევა პოზიტიური დამოკიდებულებით მთავრობის და „ქართული ოცნების“ მიმართ და მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულებით ოპოზიციის, განსაკუთრებით გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მიმართ. სიუჟეტებში არ არის დაცული ბალანსი, როგორც წესი არ ხდება საპირისპირო პოზიციის გაჟღერება. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში უმეტესად მთავრობის და მმართველი პარტიის წარმომადგენლები არიან მიწვეული. არც ერთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში, რომელიც იმედის ეთერში საუკეთესო დროს გადის, არ არიან მოწვეული ოპოზიციის წარმომადგენლები. 25 სექტემბერს **„დღის ქრონიკას“** კახა კუკავა სტუმრობდა. მას აზრის დაფიქსირებისთვის მცირე დრო დაეთმო და წამყვანი მკვეთრ ოპონირებას უწევდა, რაც არცერთ სხვა შემთხვევაში, ქართული ოცნებისა და მთავრობის სხვა წარმომადგენელთან არ მომხდარა. პოლიტიკური გადაცემები ცალმხრივია, არ გამართულა დებატები ან საარჩევნო სუბიექტებს შორის მსჯელობა აქტუალურ საკითხებზე.
- რუსთავი 2-ზე კურიერის წამყვანები ახალ ამბებს მეტწილად ეთიკური სტანდარტების დაცვით აშუქებენ, თუმცა გვხვდება სიუჟეტები სადაც რაოდენობირივი ბალანსი დარღვეულია და მთავრობის და „ქართული ოცნების“ უფრო მეტ წარმომადგენელს ეძლევა სიტყვა, ვიდრე ოპოზიციის წარმომადგენლებს. არის შემთხვევები, როცა წამყვანები ირონიულ გამონათქვამებს იყენებენ ოპოზიციური ძალების მიმართ. საანგარიშო პერიოდში „რუსთავი 2“ თავისი ეთერის პრაიმ ტაიმში მაყურებელს ერთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამას - „ღამის კურიერს“ სთავაზობდა, რომელიც ძირითადად გაჯერებულია კრიტიკული შეკითვებით და ანალიზით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მაყურებელი ზედაპირულ ინფორმაციას ღებულობდა.
- ტვ პირველი მკვეთრად ნეგატიური და ტენდენციურია მთავრობის და მმართველი პარტიის მიმართ. საარჩევნო აქტივობების მხრივ ძირითადად ოპოზიციური პარტიებია გაშუქებული. სიუჟეტებში აქცენტი კეთდება გამოძიებებზე და შესაძლო კორუფციის

ფაქტებზე, თუმცა ასეთი სიუჟეტები არ არის გამყარებული მტკიცებულებებით, ეფუძნება ვარაუდებს. ამასთან, ხდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ახალი ამბის გამოტოვება, რომელიც დადებითად წარმოაჩენდა მთავრობის საქმიანობას. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში ხშირია მასალის გაშუქება, რომელიც მძიმე ბრალდებებს უყენებს ხელისუფლების წარმომადგენლებს და რომლებიც არ არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული. სიუჟეტები ხშირად აგებულია გადაცემის ავტორისა და ჟურნალისტების მხრიდან გამოთქმულ ეჭვებსა და ვარაუდებზე, გაჟღერებული ბრალდებები არ ეფუძნება მტკიცებულებებს და მოვლენები გაშუქებულია ცალმხრივად. მომზადებული რეპორტაჟებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების და მოვლენების დრამატიზების გასაძლიერებლად ხშირად გამოყენებულია გადაცემის მიმდინარეობისას კონკრეტული რეპორტაჟის ხმაურიანი ანონსი, რომელსაც თან ახლავს სპეციალურად შერჩეული დრამატული მუსიკა. აღსანიშნავია ასევე შემთხვევები, როდესაც გადაცემის წამყვანები პირდაპირ ეთერში აფიქსირებენ მხარდაჭერას ოპოზიციური მაჟორიტარობის კანდიდატების მიმართ.

- მთავარი არხის ჟურნალისტები ღიად ახდენენ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების დეკლარირებას და მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას მმართველი პარტიისა და რამდენიმე პოლიტიკური პარტიის მისამართით, მათი ტექსტები და შეფასებები ხშირ შემთხვევაში გაჯერებულია სიძულვილის ენით და ამავდროულად ხშირია უცენზურო ლექსიკის გამოყენება. საინფორმაციო გამოშვებებში გვხვდება ყალბი ამბები, სადაც სიუჟეტი მთლიანად აგებულია მხოლოდ ვარაუდებზე და შეფასებებზე.

  პანდემიის გაშუქება იყო მკვეთრად ნეგატიური, ექსპერტებად მოწვეული იყვნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და სიტუაცია ფასდებოდა როგორც უიმედო, რაც შესაძლოა ხელს უწყობდეს მოსახლეობაში პანიკის დათესვას. ხდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციების გამოტოვება, რომელსაც შესაძლებელია მთავრობის მიღწევები პოზიტიურად წარმოეჩინა. მაგალითად: ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში, აზერბაიჯანის პრეზიდენტის განცხადება გავრცელებულ დეზინფორმაციასთან დაკავშირებით, თითქოს სომხეთი საქართველოს გავლით იღებდა იარაღს, პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ბრიუსელში. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში ყველაზე ხშირად იწვევენ გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ წარმომადგენლებს და მათ მიმართ არ ისმის კრიტიკული შეკითხვები.

ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგის შედეგები:

საზოგადოებრივი მაუწყებელი

I არხი

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: საქართველოს მთავრობა - 24.8% (პოზიტიური - 37%, ნეგატიური - 5%), „ქართული ოცნება“ - 17.0% (პოზიტიური - 31%, ნეგატიური - 18%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 12.3% (პოზიტიური - 9%, ნეგატიური - 26%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - საანგარიშო პერიოდში პირველი არხის საინფორმაციო გამოშვება „მოამბეში“ (21:00) დაცული იყო ეთიკური სტანდარტები. ჟურნალისტთა ტექსტებში არ გვხვდებოდა დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებისას ბალანსი დაცული იყო. მოამბეში მეტწილად შუქდებოდა ქვეყანაში მიმდინარე მნიშნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები.

„მოამბეში“ მმართველი პარტიისადმი კრიტიკა ხელისუფლების ოპონენტების მხრიდან ისმოდა. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას სიუჟეტებში ხელისუფლების (მთავრობის და „ქართული ოცნების“) წარმომადგენლები სარგებლობდნენ როგორც პირველი, ასევე, დასკვნითი სიტყვის უფლებით.

მაგალითად, 11 სექტემბერს, 21:39 საათზე გავიდა სიუჟეტი “არჩევნები 2020 - პარტიების საარჩევნო სტრატეგია”. აქ ჯერ “ქართული ოცნების” წარმომადგენლის კომენტარი იყო წარმოდგენილი, შემდგომ ოპოზიციური პარტიების შეფასებები, ხოლო ბოლოს კვლავ “ქართული ოცნებას” დაეთმო დრო.

18 სექტემბერს, 21:10 საათზე გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით „ეკონომიკის მინისტრი პარლამენტში”. თავდაპირველად მოვისმინეთ ეკონომიკის მინისტრის განცხადება, რომელიც აკრიტიკებდა ოპოზიციას, შემდგომ ოპოზიციის კრიტიკული კითხვები და შენიშვნები თავად მინისტრის მისამართით, სიუჟეტის საბოლოო, დასკვნით ნაწილში კი კვლავ მოვისმინეთ ეკონომიკის მინისტრის კომენტარი უკვე პარლამენტში მისი გამოსვლის დასრულების შემდგომ, სადაც იგი „ევროპულ საქართველოს” ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიებდა.

„მოამბე“ ყველა გამოშვებაში მაყურებელს სთავაზობდა დაახლოებით 7-8 წუთიან კოლაჟს საარჩევნო სუბიექტების აქტივობების შესახებ. აქტივობები შუქდებოდა მიუკერძოებლად.

საგულისხმოა, რომ აქცენტი კეთდებოდა კანდიდატებისთვის თანაბარი დროის დათმობაზე და მაყურებელი, ძირითადად, ისმენდა პოლიტიკოსების წინასაარჩევნო დაპირებებს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები - საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემა **„თავისუფალი ხედვა“**, რომელსაც სტუმრობდნენ „ევროპული საქართველო“ (ერთხელ), „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ (ერთხელ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ) და „სოლიდარობის ალიანსი“ (ერთხელ).

„თავისუფალი ხედვის“ ფორმატი საარჩევნო სუბიექტებს საშუალებას აძლევდათ ესაუბრათ საკუთარ საარჩევნო პროგრამასა და პოლიტიკურ გეგმებზე. წამყვანი მთავარ აქცენტს სწორედ პროგრამების განხილვაზე აკეთებდა. ჟურნალისტი საშუალებას აძლევდა სტუმრებს ბოლომდე გამოეხატათ საკუთარი აზრი და ხედვა, ხშირად ცდილობდა დაეზუსტებინა ინფორმაცია, წამყვანის მხრიდან არ იგრძნობოდა მიკერძოება ან ირონია რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ.

„კვირის ინტერვიუს“ ეთერში საარჩევნო სუბიექტებიდან მოწვეულნი იყვნენ: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ წარმომადგენელი (ერთხელ) და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი (ერთხელ).

„კვირის ინტერვიუ“ პირველი არხის ეთერში ყოველ ოთხშაბათს გადის. 16 სექტემბერს „კვირის ინტერვიუს“ სტუმრობდა „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე. წამყვანი გამოირჩეოდა ჩართულობით, არ ერიდებოდა კრიტიკული კითხვების დასმას და საკმაოდ ეფექტურ ოპონირებას უწევდა სტუმარს, არგუმენტად მოჰყავდა საზოგადოებრივი აზრის კვლევები, პოლიტიკოსების მიერ წარსულში გაკეთებული განცხადებები, მათ მიერ მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებები და ა.შ.

30 სექტემბერს გადაცემას სტუმრობდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი კახა კუჭავა. წამყვანი ამ შემთხვევაშიც ორიენტირებული იყო კრიტიკული კითხვების დასმაზე და არ უცდია რესპონდენტისთვის შეექმნა კომფორტული, ლოიალური გარემო. წამყვანი არ ავლენდა მიკერძოებას და თანაბრად მომთხოვნი იყო როგორც მმართველი გუნდის წარმომადგენლების, ასევე, ოპოზიციის მიმართ. “

„აქტუალური თემა“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას სტუმრობდნენ აჭარის მთავრობის (ერთხელ) და საქართველოს მთავრობის (ერთხელ) წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში „აქტუალური თემა“ სამჯერ გავიდა ეთერში, მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტები კი აქედან მხოლოდ ერთ გადაცემაში იყვნენ მოწვეულები.

გადაცემაში **„ახალი კვირა“** გავიდა რეპორტაჟები მონიტორინგს დაქვემდებარებული შემდეგი სუბიექტების მონაწილეობით: ადგილობრივი მთავრობა (ერთხელ) და მთავრობა (ოთხჯერ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „საზოგადოებრივ მაუწყებელის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი
51%
49%
დემოკრატიული მოძრაობა
47%
53%
თავისუფალი საქართველო
46%
54%
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები
52%
48%
სტრატეგია აღმაშენებელი
52%
48%
ლელო
49%
51%
ლეიბორისტული პარტია
52%
48%
პატრიოტთა ალიანსი
52%
48%
ევროპული საქართველო
53%
47%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
63%
37%
ქართული ოცნება
58%
42%
საქართველოს პრეზიდენტი
60%
40%
ადგილობრივი მთავრობა
37%
63%
აჭარის მთავრობა
45%
55%
საქართველოს მთავრობა
55%
45%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
37%
58%
5%
22%
78%
10%
83%
6%
56%
44%
31%
51%
18%
9%
65%
26%
25%
67%
8%
33%
56%
11%
21%
78%
1%
34%
63%
3%
21%
77%
2%
47%
52%
1%
39%
61%
34%
66%
31%
69%
საქართველოს მთავრობა
აჭარის მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
საქართველოს პრეზიდენტი
ქრთული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები
თავისუფალი საქართველო
დემოკრატიული მოძრაობა
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
37%
5%
22%
10%
6%
56%
31%
18%
9%
26%
25%
8%
33%
11%
21%
1%
34%
3%
21%
2%
47%
1%
39%
34%
31%
საქართველოს მთავრობა
აჭარის მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
საქართველოს პრეზიდენტი
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები
თავისუფალი საქართველო
დემოკრატიული მოძრაობა
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი


გენდერი
58%
42%
ქალი
კაცი

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: აჭარის მთავრობა - 25.7% (პოზიტიური - 49%, ნეგატიური - 5%), ქართული ოცნება - 19.5% (პოზიტიური - 40%, ნეგატიური - 29%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 18.4% (პოზიტიური - 15%, ნეგატიური - 28%), საქართველოს მთავრობა - 10.7% (პოზიტიური - 35%, ნეგატიური - 16%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მეტწილად დაცული იყო მხარეებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება. საინფორმაციო გამოშვებებში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს ინტერვიუს ფორმატში პოლიტიკოსების ჩართვას/სტუმრობას. გასათვალისწინებელია, რომ საანგარიშო პერიოდში ამგვარი ფორმატით პირდაპირი დრო უმეტეს შემთხვევაში აჭარის მთავრობის წარმომადგენლებს ეთმობოდათ.

აღსანიშნავია, რომ არხის მთავარ საინფორმაციო გადაცემაში შუქდებოდა ადგილობრივ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე ეთერი ეთმობდა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს.

საკითხის სიღრმისეული გაშუქების პრობლემა გამოიკვეთა 11 სექტემბერის 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში განთავსებულ სიუჟეტში, რომელიც სასურსათო პროდუქციაზე ფასების გაძვირებას ეხებოდა. სიუჟეტის მიხედვით, ჟურნალისტი ცალსახად განმარტავს, რომ პანდემიის პერიოდში 9 ძირითად პროდუქტზე ფასები არ უნდა გაზრდილიყო, თუმცა რამდენიმე მათგანზე ფასის ცვლილება მაინც შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ მისი მონოლოგი მარტი-მაისის თვეებს ეხება, ფასებთან დაკავშირებით ცვლილების დასადგენად ჟურნალისტი სასურსათო ბაზარს 11 სექტემბერს სტუმრობს. ამავე საკითხთან დაკავშირებით სტუდიას ჩართვით სტუმრობდა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომელმაც კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა ზემოთაღნიშნული სიუჟეტის არარელევანტურობასთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები - საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემას - **„თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილათან ერთად”** პოლიტიკური პარტიებიდან/ბლოკებიდან ჩართვით სტუმრობდნენ: გაერთიანებული ოპოზიცია - ,,ძალა ერთობაშია'' (სამჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი'' (ორჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), „ქართული ოცნება“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), „ეროვნულ დემოკრატიული პარტია“ (ერთხელ) და „გამარჯვებული საქართველო“ (ერთხელ). საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთხელ ეწვია პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი სტუდიას, ეს გახლდათ „ქართული ოცნების“ ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატი. ამავე გადაცემის წამყვანსა და საქართველოს ჯანდაცვის

მინისტრ, ეკატერინე ტიკარაძეს შორის შედგა პირისპირ ინტერვიუ, რომელიც ჩანაწერის სახით ამავე გადაცემაში გაშუქდა. თოქ-შოუში სიუჟეტის სახით, პირდაპირი დრო დაეთმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების წარდგენის ღონისძიებას.

ეთიკური ნორმების დარღვევას ჰქონდა ადგილი გადაცემის წამყვანის მიმართ საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემის **„თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად“** 23 სექტემბრის გადაცემაში, რომლის ფარგლებშიც პარტია „გამარჯვებული საქართველოს'' კანდიდატის, ირაკლი ოქრუაშვილის მხრიდან გაჟღერდა ისეთი არაეთიკური ფრაზები, როგორებიცაა: „სისულელეებზე სალაპარაკოდ არ მცალია“, „თქვენს მახსოვრობას შეიძლება პრობლემა აქვს“, ,,მრავალჟამიერს ხომ არ ვმღერი მეორე ხმაში რომ მერთვებით'' - სტუმრის ამგვარი დამოკიდებულება მოჰყვა ჟურნალისტის მხრიდან კანდიდატის ხელისუფლებაში ყოფნის დროს განხორციელებული ქმედებების თაობაზე დასმულ შეკითხვებს, რაც რესპონდენტის აზრით უადგილო იყო და პროტესტის ნიშნად ეთერი დატოვა.

აღსანიშნავია, რომ აჭარის საზოგადებრივმა ტელევიზიამ დააანონსა საარჩევნო თემატიკისადმი მიძღვნილი გადაცემის **„არჩევნები 2020“**-ის სამაუწყებლო ბადეში განთავსება. საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთი ასეთი გადაცემა შედგა, რომელსაც სტუდიაში მხოლოდ „ლელოს“ კანდიდადები სტუმრობდნენ. გასათვალისწინებელია, რომ ამ გადაცემის გაცხადებული მიზანი ამომრჩევლების ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დახმარებაა, თუმცა აღნიშნული მიზნის სრულფასოვანი მიღწევისთვის გადაცემაში არ დასმულა კრიტიკული შინაარსის შეკითხვები, რომელიც ამომრჩევლის მეტ ინფორმირებას შეუწყობდა ხელს.

საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა დებატები საარჩევნო სუბიექტებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


აჭარის ტელევიზია
25.7%
19.5%
18.4%
10.7%
5.6%
5.0%
4.1%
3.0%
1.5%
1.1%
1.1%
0.8%
0.8%
0.8%
2.0%
აჭარის მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
საქართველოს მთავრობა
ევროპული საქართველო
ადგილობრივი მთავრობა
პატრიოტთა ალიანსი
ელო
თავისუფალი საქართველო
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
დემოკრატიული მოძრაობა
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი 44% 56%
დემოკრატიული მოძრაობა 84% 16%
თავისუფალი საქართველო 12% 88%
გირჩი 81% 19%
სტრატეგია აღმაშენებელი 60% 40%
ელო 46% 54%
ლეიბორისტული პარტია 82% 18%
პატრიოტთა ალიანსი 92% 8%
ევროპული საქართველო 60% 40%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" 68% 32%
ქართული ოცნება 48% 52%
ადგილობრივი მთავრობა 63% 37%
აჭარის მთავრობა 30% 70%
საქართველოს მთავრობა 50% 50%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
35%
49%
16%
49%
46%
5%
20%
50%
30%
40%
31%
29%
15%
56%
28%
24%
58%
19%
9%
39%
52%
18%
61%
22%
44%
54%
2%
3%
85%
11%
4%
84%
12%
88%
12%
87%
13%
56%
44%
საქართველოს მთავრობა
აჭარის მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
თავისუფალი საქართველო
დემოკრატიული მოძრაობა
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი


პოზიტიურიო და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
35%
16%
49%
5%
20%
30%
40%
29%
15%
28%
24%
19%
9%
52%
18%
22%
44%
2%
3%
11%
4%
12%
88%
13%
56%
საქართველოს მთავრობა
აჭარის მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
ვირჩი
თავისუფალი საქართველო
დემოკრატიული მოძრაობა
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი


გენდერი
30%
70%
ქალი
კაცი

შპს „ტელეიმედი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 43.3% (პოზიტიური - 34%, ნეგატიური - 2%), საქართველოს მთავრობა - 26.9% (პოზიტიური - 43%, ნეგატიური - 1%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 18.9% (პოზიტიური - 0%, ნეგატიური - 77%), ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - მონიტორინგის პერიოდში 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“ გამოიკვეთა პოზიტიური დამოკიდებულება მთავრობასა და „ქართული ოცნების“ მიმართ, ღია და დაუფარავი ნეგატიური დამოკიდებულება ოპოზიციის, კერძოდ კი – ნაციონალური მოძრაობის მიმართ. სიუჟეტებში უმეტესად არ არის წარმოდგენილი საპირისპირო მხარე და მათ არ ეძლევათ შესაძლებლობა დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია.

საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტების უმრავლესობაში „ქართული ოცნება“ და მთავრობა რაოდენობრივად მეტად არის წარმოდგენილი, მაგრამ არხი ფორმალური ბალანსის დაცვას ცდილობს და ოპოზიციის წარმომადგენლებს - უმეტესად გაერთიანებულ ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ და „ევროპულ საქართველოს“, საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება აქვთ, თუმცა სიუჟეტები ისე არის აწყობილი, რომ ის ძირითადად ოპოზიციის მიმართ კრიტიკული შედარებებით არის გაჯერებული. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბალანსი საერთოდ არ არის დაცული.

მაგალითად, 3 სექტემბერს მთავარ გამოშვებაში გავიდა სიუჟეტები: „ხაინდრავა წინასაარჩევნო გარემოს აფასებს“ და „გვარამიას მავნებლური ფეიკნიუსი ბიძინა ივანიშვილის ოჯახზე“, არც ერთ სიუჟეტში საპირისპირო პოზიციის მოსაზრება არ გაჟღერებულა.

საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერები ფართოდ შუქდებოდნენ 20:00–საათიან ქრონიკაში, უმეტესად დადებით ან ნეიტრალურ კონტექსტში. არხი მათ უხვად უთმობდა პირდაპირ საეთერო დროსაც, მაგალითად: 29 სექტემბერს თეა წულუკიანის 8 წლის მუშაობის ანგარიში გავიდა, რომელსაც არხმა პრაიმტაიმში 21 წთ და 3 წმ დაუთმო, 18 სექტემბერს ზაზა ლომინაძის და იოსებ ხახალეიშვილის მერობის და მაჟორიტარობის კანდიდატებად წარდგენას 27 წთ და 56 წმ დაეთმო, 10 სექტემბერს „ქართული ოცნების“ სიის ოცეულის წარდგენასა და ლიდერების ჩართვებს 55 წთ და 47 წმ დაეთმო. საანგარიშო პერიოდში მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სხვა პარტიების წარმომადგენლებს ასეთი საშუალება არ ჰქონიათ. კერძოდ, მათ არ ჰქონიათ საშუალება წარედგინათ კანდიდატები და გაეცნოთ მაყურებლისთვის თავიანთი საარჩევნო პროგრამა, არ გაშუქებულა მათი წინასაარჩევნო შეხვედრები მოსახლეობასთან.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია იმედმა ქართული ოცნების 13 საარჩევნო კანდიდატზე მათი ცხოვრებისა და მომავალი გეგმების შესახებ გააკეთა ჩანახატების ციკლი და თითოეული მათგანი პოზიტიურ კონტექსტში გაშუქდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები - არც ერთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში, რომელიც იმედის ეთერში საუკეთესო დროს გადის, არ არიან მოწვეული ოპოზიციის წარმომადგენლები. პოლიტიკური გადაცემები ცალმხრივია, არ გამართულა დებატები ან საარჩევნო სუბიექტებს შორის მსჯელობა აქტუალურ საკითხებზე.

აქტუალური თემებიდან ყოველდღიურ რეჟიმში შუქდება კორონავირუსთან დაკავშირებული ყველა სიახლე, სიუჟეტები გაწონასწორებულია და მიზნად ისახავს ადამიანების ინფორმირებას.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„არენა“** სტუმრობდნენ: „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ), საქართველოს მთავრობა (ორჯერ).

ყოველდღიური გადაცემაში **“დღის ქრონიკა“** მონაწილეობდნენ: მთავრობის წარმომადგენლები (შვიდჯერ), ქართული ოცნების წარმომადგენლები (თორმეტჯერ), აჭარის მთავრობის წარმომადგენელი (ერთხელ) და თავისუფალი საქართველოს წარმომადგენელი (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში იმედზე გასულ საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემებსა და გასართობ შოუებში ოპოზიციის წარმომადგენლები არ იყვნენ მიწვეულნი, გარდა ერთი შემთხვევისა, 25 სექტემბერს **„დღის ქრონიკაში“** მეორე სტუმრად კახა კუკავა ჰყავდათ. მას აზრის დაფიქსირებისთვის მცირე დრო დაეთმო და წამყვანი მკვეთრ ოპონირებას უწევდა, რაც არცერთ სხვა შემთხვევაში, ქართული ოცნებისა და მთავრობის სხვა წარმომადგენელთან არ მომხდარა.

საანგარიშო პერიოდში გადაცემა **„ღია ეთერს“** სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები (ექვსჯერ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„ნამდვილი რიცხვები“** სტუმრობდნენ: „ქართული ოცნება“ (შვიდჯერ), საქართველოს მთავრობა (ორჯერ).

17 სექტემბრის გადაცემა **„ნამდვილ რიცხვებში“** სტუმრად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ჰყავდათ, სადაც წამყვანი ღიად აქებდა მინისტრის მუშაობას. გადაცემაში გავიდა წინასწარ მომზადებული სამი ვრცელი საიმიჯო სიუჟეტი.

წამყვანი ამბობს: „სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ უნდა გამოიტყდეთ ქალბატონო მაია ჩვენ გვაქვს უამრავი მონაცემი და ეს მონაცემი არის, რა თქმა უნდა, ყველა პოზიტივი, უბრალოდ

გადაცემის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, რომ გააშუქო და მოუყვე აუდიტორიას ამ პოზიტიური ინფორმაციის შესახებ“. მთელი გადაცემის განმავლობაში წამყვანი იყენებს დიაგრამებს სამინისტროს გაწეული სამუშაოს შესახებ და თან ამბობს: „ქალბატონო მაია, ეს არის ძალიან შთამბეჭდავი, როგორ მოახერხეთ ასეთი შთამბეჭდავი ინტენსიფიკაცია?“. აღსანიშნავია, რომ გადაცემაში მოწვეული იყო ექსპერტი, რომელიც ოპონირებას უწევდა მინისტრს. ამასთან, ხშირ შემხთხვევაში თავად წამყვანი შედიოდა ექსპერტთან კამათში. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტს მიეცა ოპონირების საშუალება.

გადაცემაში **„იმედის კვირა“** დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ (ოთხჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ოთხჯერ), საქართველოს მთავრობას (ოთხჯერ), „ევროპულ საქართველოს“ (ორჯერ), „თავისუფალ საქართველოს“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსს“ (ორჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელს“ (ორჯერ), „ლეიბორისტულ პარტიას“ (ორჯერ), „დემოკრატიულ მოძრაობას“ (ერთხელ), „ლელოს“ (ერთხელ) და „გირჩს“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების პროგრამაში **„ქრონიკა თეა სიჭინავასთან ერთად“** მოწვეული იყვნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები (ორჯერ).

საანგარიშო პერიოდში საარჩევნო სუბიექტები ფიგურირებდნენ გასართობ გადაცემებში. გადაცემაში **„იმედის დილა“** წარმოდგენილი იყო „ქართული ოცნება“ (ერთხელ). გადაცემაში **ღამის შოუ** მონაწილეობდა ქართული ოცნება (სამჯერ). ასევე, გადაცემაში **„სპორტი იმედზე“** ქართული ოცნება (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმედის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


იმედი
43.3%
26.9%
18.9%
2.9%
2.6%
1.0%
1.0%
0.6%
0.5%
0.4%
0.4%
1.4%
ქართული ოცნება
საქართველოს მთავრობა
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ადგილობრივი მთავრობა
ლელო
აჭარის მთავრობა
ლეიბორისტული პარტია
სტრატეგია აღმაშენებელი
საქართველოს პრეზიდენტი
პატრიოტთა ალიანსი
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
სტრატეგია აღმაშენებელი
37%
63%
ლელო
85%
15%
ლეიბორისტული პარტია
83%
17%
პატრიოტთა ალიანსი
88%
12%
ევროპული საქართველო
70%
30%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
88%
12%
ქართული ოცნება
43%
57%
საქართველოს პრეზიდენტი
100%
ადგილობრივი მთავრობა
66%
34%
აჭარის მთავრობა
12%
88%
საქართველოს მთავრობა
40%
60%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
43%
56%
1%
100%
12%
87%
1%
99%
1%
34%
64%
2%
23%
77%
1%
53%
46%
21%
79%
34%
66%
21%
79%
94%
6%
საქართველოს მთავრობა
აჭარის მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
საქართველოს პრეზიდენტი
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
43%
12%
34%
1%
1%
2%
1%
77%
46%
79%
66%
79%
საქართველოს მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ყველა


გენდერი
58%
42%
ქალი
კაცი

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 25.6% (პოზიტიური - 32%, ნეგატიური - 12%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 21.6% (პოზიტიური - 14%, ნეგატიური - 32%), საქართველოს მთავრობა - 15.4% (პოზიტიური - 32%, ნეგატიური - 5%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - „რუსთავი 2-ზე“ მონიტორინგის ქვეშ მოექცა დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება - „კურიერი“. ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენების შესახებ მეტწილად ეთიკური სტანდარტების დაცვით ყვებოდნენ.

გადაცემის წამყვანი ზოგჯერ ირონიული იყო ოპოზიციური სპექტრისადმი, რამდენიმე საარჩევნო სუბიექტს ის „მოხეტიალე პოლიტიკოსებს“ უწოდებდა, „პატრიოტთა ალიანსს“ „ოკუპანტებთან მომლოცველი ვიცესპიკერის პარტიად“ მოიხსენიებდა, რესპუბლიკელებს კი პრინციპების ხშირ ცვლილებას უწუნებდა.

მაგალითად, 1 სექტემბრის გამოშვებაში სიუჟეტის თემა იყო „პატრიოტთა ალიანსის“ რუსული კავშირები: „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით მოკვლევა აუდიტის სამსახურმა ოფიციალურად დაიწყო. სავარაუდოდ, სწორედ უწყების დასკვნის შემდეგ გახდება ცნობილი, რა შეფასება შეიძლება მიეცეს ოკუპანტებთან მომლოცველი ვიცესპიკერის პარტიას“.

2 სექტემბერი: „ერთი ბანაკიდან მეორეში მოხეტიალე პოლიტიკოსები“ მაჟორიტარობის კანდიდატები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მმართველი პარტიის გუნდში იყვნენ, დღეს კი ყოფილი მმართველი პარტიის სახეები ხდებიან. ზოგადად, ქვეყანაში უკვე ჩამოყალიბდა იმ პოლიტიკოსთა სახეობა, რომელთათვისაც მთავარი არა პარტიული ღირებულება, არამედ დეპუტატის მანდატია“.

„კურიერში“ დაფიქსირდა შემთხვევები როდესაც, დაირღვა რაოდენობრივი ბალანსი მმართველი ძალის სასარგებლოდ, 1 სექტემბერს სიუჟეტში, რომლის მთავარი თემაც „სააკაშვილის ბოდიში“ იყო, მმართველი პარტიიდან - 3, მთავრობიდან - 2, ხოლო გაერთიანებული ოპოზიციდან „ძალა ერთობაშია“ 1 რესპონდენტი ვიხილეთ. 14 სექტემბერს, NDI-ის კვლევის გაშუქებისას 8 რესპონდენტიდან 4 „ქართული ოცნების“ წევრი იყო.

28 და 29 სექტემბერს ბოლნისისა და მარნეულის ინციდენტების გაშუქებისას, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტებზე გამოძიება დამდგარი არ იყო და ორივე მხრიდან მხოლოდ ურთიერთბრალდებები ისმოდა, ჟურნალისტის ტექსტები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ დაზარალებული მხარე მხოლოდ „ქართული ოცნება“ იყო: „ხელკეტებისა და ქვების კვალი

მმართველი პარტიის აქტივისტებს ამ დრომდე ეტყობათ, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ირწმუნება, რომ მათ თავს „ქართული ოცნება“ დაესხა“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ ერთმანეთს პროვოკაციაში ადანაშაულებენ, თუმცა ფიზიკური დაზიანებები მმართველი პარტიის წარმომადგენელს აქვს მიყენებული“.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები - საანგარიშო პერიოდში **„დღის კურიერს“** სტუმრობდნენ: „ქართული ოცნების“ (ოცჯერ), მთავრობის (თერთმეტჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ (თხუთმეტჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ათჯერ), „ადგილობრივი მთავრობის“ (ორჯერ), „აჭარის მთავრობის“ (ერთხელ), „გამარჯვებული საქართველოს“ (ერთხელ), „გირჩის“ (ერთხელ), „დემოკრატიულ მოძრაობას“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტიის“ (ერთხელ), „ლეიბორისტული პარტიის“ (ორჯერ), „ლელოს“ (ორჯერ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეების“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსის“ (ორჯერ), „სტრატეგია აღმაშენებლის“ (ოთხჯერ) და „სოლიდარობის ალიანსის“ (სამჯერ) წარმომადგენლები.

„ღამის კურიერის“ ეთერში მოწვეულები იყვნენ შემდეგი მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტები : „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ), მთავრობა (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (ოთხჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ოთხჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ორჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ), „ლელო“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ) და „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში „რუსთავი 2“ თავისი ეთერის პრაიმ ტაიმში მაყურებელს ერთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამას - „ღამის კურიერს“ სთავაზობდა, რომელიც ძირითადად გაჯერებულია კრიტიკული შეკითვებით და ანალიზით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მაყურებელი ზედაპირულ ინფორმაციას ღებულობდა.

4 სექტემბერს წამყვანმა „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერს, ირმა ინაშვილს საშუალება არ მისცა ერთ-ერთ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ფეიკ ნიუსი უაპელაციოდ გაევრცელებინა, გადაამოწმა საინფორმაციო საშუალების შექმნის თარიღი და მოუწოდა რესპონდენტს, ნუ შეყავდა მაყურებელი შეცდომაში ახალშექმნილი, არაავტორიტეტული გამოცემისა და იმ ქვეყნის (ვენესუელის) ვებ-გვერდით, რომელიც „ცნობილია სიტყვის თავისუფლების სერიოზული პრობლემებით“.

აღსანიშნავია, რომ წამყვანი კრიტიკული იყო მაშინაც, როცა გადაცემას მმართველი პარტიის წარმომადგენელი სტუმრობდა. 25 სექტემბერს „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივანს, ირაკლი კობახიძეს მოუწია შეუსრულებელი დაპირებები და წარსული განცხადებები გაეხსენებინა, ასევე, ეროვნული ვალუტის გაუფასურებაზე ესაუბრა.

დისკუსიის განმავლობაში წამყვანის მხრიდან არაერთი რელევანტური შეკითხვა დაისვა: „2016 წელს „ქართული ოცნება“ დაგვპირდა 200,000 ახალ სამუშაო ადგილს, თუ შევაჯამებთ 2016 წლის მონაცემებს და 2019 წლის მონაცემებს, საქსტატის ინფორმაციით, 200,000 ახალი სამუშაო ადგილის ნაცვლად, მინუს 27,100 სამუშაო ადგილი მივიღეთ“.

„ყველაზე მოწყვლადი, როდესაც ვალუტა იწყებს გაუფასურებას, არიან პენსიონერები. საქართველოში თითქმის ყოველი მეორე პენსიონერი სარგებლობს საპენსიო სესხით, საპენსიო სესხი შეადგენს 31%-ს. პენსიონრისთვის, თუ მაგალითად ავიღებთ - ყიდულობს 500-ლარიან ნივთს, ეს ნიშნავს, რომ მან 30%-ით მეტი უნდა შეიტანოს, ეს ნიშნავს, რომ თავისი თვის პენსიის თითქმის 70% ექნება გადასახდელი. აი ამ ადამიანებისთვის ნათია თურნავა ეფექტური ეკონომიკის მინისტრია?“.

იყო განსხვავებული შემთხვევებიც, მაგალითად, 22 სექტემბერს „ქართული ოცნების“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, მამუკა მდინარაძესთან საუბრისას ჟურნალისტმა „საპატრიარქოს მზარდი დაფინანსების თემა“ წამოჭრა, თუმცა, როცა მამუკა მდინარაძემ უპასუხა, რომ „ეკლესიის დაფინანსება არ გაზრდილა“, წამყვანს არ ჰქონდა არგუმენტები, მეტიც, მას არ ჰქონდა ინფორმაცია, რამდენით ფინანსდება საპატრიარქო.

აღსანიშნავია, რომ გადაცემაში მოწვეულ ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლებს, მაგალითად, ალეკო ელისაშვილსა და კახა კუკავას, თავიანთი საარჩევნო დაპირებებისა და პროგრამების ნაცვლად, მეტწილად სხვა პარტიებზე საუბარი და მათი შეფასება უწევდათ.

„დამავალებთ, თუ მკითხავთ, რას ვაპირებ, რატომ შევქმენი პოლიტიკური პარტია, საბურთალოსთვის რა შეიძლება გავაკეთო“ - ეუბნებოდა ალეკო ელისაშვილი წამყვანს.

გასართობი გადაცემები - საანგარიშო პერიოდში საარჩევნო სუბიექტები მაყურებელმა გასართობ გადაცემებშიც იხილა. **„დილა მშვიდობისა, საქართველოს“** სტუმრობდნენ: სტრატეგია აღმაშენებლის (ერთხელ), ქართული ოცნების (ერთხელ), მოძრაობა ხალხისთვის (ერთხელ) წარმომადგენლები.

„ნიკა არაბიძის შოუში“ მოწვეულები იყვნენ: ქართული ოცნების (ერთხელ), სტრატეგია აღმაშენებლის (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ) და ევროპული საქართველოს (ერთხელ) წარმომადგენლები.

„ფარულ კონვერტს“ კი 1 საარჩევნო სუბიექტი, სტრატეგია აღმაშენებლის წარმომადგენელი, სტუმრობდა (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რუსთავი 2“–ის თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი 42% 58%
დემოკრატიული მოძრაობა 42% 58%
თავისუფალი საქართველო 52% 48%
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები 47% 53%
გირჩი 70% 30%
სტრატეგია აღმაშენებელი 57% 43%
ლელო 50% 50%
ლეიბორისტული პარტია 50% 50%
პატრიოტთა ალიანსი 70% 30%
ევროპული საქართველო 49% 51%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" 65% 35%
ქართული ოცნება 52% 48%
ადგილობრივი მთავრობა 38% 62%
საქართველოს მთავრობა 52% 48%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
საქართველოს მთავრობა 5% 63% 32%
ადგილობრივი მთავრობა 11% 75% 14%
ქართული ოცნება 12% 56% 32%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" 32% 55% 14%
ევროპული საქართველო 5% 80% 15%
პატრიოტთა ალიანსი 28% 64% 8%
ლეიბორისტული პარტია 2% 77% 21%
ლელო 4% 78% 17%
სტრატეგია აღმაშენებელი 1% 79% 21%
გირჩი 14% 82% 4%
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები 66% 34%
თავისუფალი საქართველო 3% 68% 28%
დემოკრატიული მოძრაობა 3% 87% 10%
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი 87% 13%


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
32%
5%
14%
11%
32%
12%
14%
32%
15%
5%
8%
28%
21%
2%
17%
4%
21%
1%
4%
14%
34%
10%
3%
10%
3%
13%
საქართველოს მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები
თავისუფალი საქართველო
დემოკრატიული მოძრაობა
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი


გენდერი
58%
42%
ქალი
კაცი

შპს „ტელეკომპანია პირველი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 37.7% (პოზიტიური - 16%, ნეგატიური - 48%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 22.9% (პოზიტიური - 2%, ნეგატიური - 20%), საქართველოს მთავრობა - 12.1% (პოზიტიური - 2%, ნეგატიური - 40%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ტვ პირველი მკვეთრად ნეგატიურია მთავრობის და მმართველი პარტიის მიმართ.

არხი ცდილობს დაიცვას ბალანსი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიმართ, თუმცა სხვა ვითარებაა მმართველი პარტიისა და მთავრობის გაშუქების შემთხვევაში.

საარჩევნო თემატიკა ძირითადად შუქდებოდა ყრილობის ან კანდიდატების წარდგენის პირდაპირ ეთერში ჩართვით. უშუალოდ კანდიდატთა მოსახლეობასთან შეხვედრები და სხვა საარჩევნო აქტივობები მთავარ გამოშვებაში მხოლოდ ფრაგმენტულად გადმოიცემოდა.

არხი განსაკუთრებული სიხშირით აშუქებს კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“, „ევროპული საქართველოს“, „სტრატეგია აღმაშენებლის“ და „ლელოს“ პოლიტიკურ აქტივობებს. მაუწყებელი წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას არ ცდილობს დაიცვას ბალანსი მიუხედავად არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების სიმრავლისა, რაც მიუთითებს მაუწყებლის მხრიდან შერჩევით მიდგომაზე და სხვა პოლიტიკური პარტიების ინტერესების უგულებელყოფაზე, ეს კი თავის მხრივ, ხელს უშლის ამომრჩეველს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია და კენჭისყრის დღეს გააკეთოს ინფორმირებული და გააზრებული არჩევანი.

ტვ პირველის მთავარ გამოშვებაში 9 სექტემბერს, 20:37 საათზე გავიდა სიუჟეტი „წმენდა სკოლებში - დირექტორები გაათავისუფლეს“.

„წინასარჩევნოდ ქართულმა ოცნებამ ისევ კარგად ნაცადი გეგმის განხორციელება დაიწყო. სკოლების ყველა ის დირექტორები, რომლებიც მმართველი პარტიის მხარდამჭერები არ არიან, თანამდებობებიდან გაათავისუფლეს. პოსტები შეუნარჩუნეს მხოლოდ მათ, ვის ერთგულებაშიც პარტიის ლიდერებს ეჭვი არ შეაქვთ. საუბარია 1400-ზე მეტ სასწავლო დაწესებულებაზე....“ (წამყვანის მონოლოგი).

გადაცემის წამყვანმა „ქართული ოცნება“ დირექტორების გათავისუფლებაში ღიად დაადანაშაულა, თუმცა ბრალდება სათანადო მტკიცებულებებით არ იყო გამყარებული და სიუჟეტში არ ყოფილა წარმოდგენილი სკოლის დირექტორების უკანონო გათავისუფლების

ამსახველი მტკიცებულებები. ჟურნალისტმა ბრალის გასამყარებლად და მმართველი გუნდის უკანონო საქმიანობის შესაფასებლად განათლების ექსპერტის კომენტარი გამოიყენა, თუმცა არხის მიერ განათლების ექსპერტად წარდგენილი მარიამ რამინაშვილი „ევროპული საქართველოს“ წევრია და, შესაბამისად, მისი კომენტარი მიუკერძოებელი ვერ იქნებოდა.

სიუჟეტში „ქართული ოცნების“ მიმართ ბრალდებების გაჟღერების დროს არ არის წარმოდგენილი მოპასუხე მხარის პოზიცია და, ამასთანავე, არ ჩანდა საპასუხო კომენტარის მოპოვების მცდელობა. აღსანიშნავია, რომ მთავრობის საქმიანობის შესახებ სიახლეები ძირითადად ნეგატიურ ტონში შუქდებობა.

ტვ პირველი მაყურებელს სთავაზობს გახმაურებული კრიმინალური საქმეების „ექსკლუზიურ“ დეტალებს, სადაც ხშირად ირღვევა ეთიკური სტანდარტები და არ არის წარმოდგენილი საპირისპირო პოზიცია. ძირითადი ტენდენცია იყო თანამდებობის პირების ფარულ ბიზნესინტერესებში და კორუფციაში მამხილებელი მასალების გაშუქება, რასაც თან ახლდა ეთიკური პრინციპების დარღვევაც. ხშირად ვხვდებით მოვლენების ცალმხრივი გაშუქების შემთხვევებს, თუმცა არხი მიზეზად ქართული ოცნების ბოიკოტს ასახელებს.

თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ტვ პირველი მთავარ გამოშვებაში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს შსს-ს წარუმატებელ საქმიანობაზე და გაუხსნელ საქმეებში მონაწილე ფიგურანტების კავშირებზე „ქართულ ოცნებასთან“. ჟურნალისტური მასალები ისეა წარმოდგენილი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნებისმიერი უკანონო ქმედების უკან „ქართული ოცნება“, ბიძინა ივანიშვილი და მასთან დაკავშირებული პირები დგანან. სიუჟეტებში ყურადღება გამახვილებულია ხელისუფლების მხრიდან ძალადობაზე, რაც ხშირ შემთხვევაში გამოთქმულ ვარაუდებს ეფუძნება და ფაქტებით გამყარებული არ არის.

მაგალითად: „ისევ არჩევნები და ისევ მანკიერი პრაქტიკა. წლების შემდეგაც კი ხელისუფლება არ ამბობს უარს აშანტაჟოს საკუთარი მოქალაქეები პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით და ამით შეეცადოს პოლიტიკური ქულების დაწერას.“ - აღნიშნავს ჟურნალისტი მონოლოგში 7 სექტემბერს გასულ საინფორმაციო გამოშვებაში, მიუხედავად იმისა, რომ თავად შანტაჟის შესახებ ინფორმაციის გამავრცელებელი მხოლოდ ეჭვს გამოთქვამს, რომ შანტაჟის უკან „ქართული ოცნება“ დგას.

იყო შემთხვევები, როდესაც არ ხდებოდა მნიშვნელოვანი ინფომაციის გაშუქება. მაგალითად: 15 სექტემბერს, 20:30 საათზე ტვ პირველის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი „ევროპარლამენტი: ივანიშვილი დემოკრატიის საფრთხეა“, რომელშიც გაშუქდა ევროპარლამენტის ანგარიშის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ხელისუფლების მიმართ რეკომენდაციებს შეიცავდა. ჟურნალისტის მიერ სიუჟეტში გამოყენებული იყო საქართველოს ხელისუფლების და ბიძინა ივანიშვილის მიმართ კრიტიკულად განწყობილი

ევროპარლამენტარების განცხადებები. სიუჟეტი არ აწვდიდა მაყურებელს სრულყოფილ და ამომწურავ ინფორმაციას ევროპარლამენტის ანგარიშის შინაარსის შესახებ და ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ თითქოს მასში მხოლოდ უარყოფითად იყო შეფასებული ხელისუფლების საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებმა და სააგენტოებმა გააშუქეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სარეკომენდაციო ნაწილის გარდა, ანგარიშში ევროპარლამენტი აღიარებს პროგრესს საქართველოს მიერ ყოვლისმომცველი რეფორმების განხორციელებაში და მიესალმება საქართველოს მიერ კოვიდ-19-თან დაკავშირებული კრიზისის გამკლავებაში მიღწეულ შედეგებს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები - ტვ პირველის სამაუწყებლო ბადე ყოველდღიურად რამდენიმე სადისკუსიო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემას მოიცავს. უმეტესწილად, გადაცემების სადისკუსიო თემა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები და პოლიტიკოსთა ურთიერთბრალდებები იყო. რაც შეეხება საარჩევნო თემატიკას, ამომრჩეველი, ძირითადად, პოლიტიკოსების ზოგადი ხასიათის დაპირებებს ისმენდა, საზოგადოებას არ მოუსმენია ანალიზი თუ რამდენად შესრულებადია კანდიდატების მიერ გაცემული დაპირებები, გადაცემებში დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობის უზრუნველყოფა არ მომხდარა.

თვალშისაცემია საავტორო გადაცემების წამყვანების მხრიდან ლოიალური დამოკიდებულება კონკრეტული ოპოზიციური კანდიდატების მიმართ. ხშირ შემთხვევაში ისინი ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ რესპოდენტებს აძლევენ შესაძლებლობას კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე დაადანაშაულონ ხელისუფლება და მმართველი პარტია და გააჟღერონ ბრალდებები საპასუხო განცხადებების გარეშე.

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„ნოდარ მელაძის შაბათი“** გავიდა სიუჟეტები შემდეგი პოლიტიკური პარტიების შესახებ: „ქართული ოცნება“ (თერთმეტჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (სამჯერ),„პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), „ლელო“ (ერთხელ), „სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ). ამასთნავე, განთავსდა 5 სიუჟეტი, რომელიც საქართველოს მთავრობას მიეძღვნა.

გადაცემაში „ნოდარ მელაძის შაბათი“ ხშირია ეთიკური სტანდარტების დარღვევით მომზადებული მანიპულაციური სიუჟეტები. მომზადებული რეპორტაჟები ძირითადად ეძღვნება „ქართული ოცნების“ წევრების და ბიძინა ივანიშვილის გარემოცვის მხილებას კორუფციაში და მათ რუსულ კავშირებს. სიუჟეტები ხშირად აგებულია გადაცემის ავტორისა და ჟურნალისტების მხრიდან გამოთქმულ ეჭვებსა და ვარაუდებზე, გაჟღერებული ბრალდებები არ ეფუძნება მტკიცებულებებს და მოვლენები გაშუქებულია ცალმხრივად. მომზადებული რეპორტაჟებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების და

მოვლენების დრამატიზების გასაძლიერებლად ხშირად გამოყენებულია გადაცემის მიმდინარეობისას კონკრეტული რეპორტაჟის ხმაურიანი ანონსი, რომელსაც თან ახლავს სპეციალურად შერჩეული დრამატული მუსიკა.

ტვ პირველის ეთერში 19 სექტემბერს გავიდა რეპორტაჟი „მარიხუანის ბიზნესი სამხრეთ ამერიკაში“. გადაცემის ანონსში ნოდარ მელაძე საუბრობს იმის შესახებ, რომ „მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილს საქართველოში მარიხუანას მოშენების გეგმა ჩაუვარდა, მისი გუნდი ურუგვაიში გადავიდა, ბევრი მილიონი დახარჯა და ახლა კანაფის 40 ტონა მოსავალს ელოდება“

ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ უცნობია ინფორმაცია პლანტაციების მფლობელი კომპანიის ინვესტორების და მფლობელების შესახებ და ცდილობს გაამყაროს მისი მხრიდან გამოთქმული ეჭვები „ხომ არ დგას ამ მრავალმილიონიანი ბიზნესის უკან თავად ბიძინა ივანიშვილი“.

გადაცემის ეთერში დაანონსებული სიუჟეტის გასვლამდე კომპანია „ფარმინმა“ გაავრცელა ინფორმაცია კომპანიის ერთადერთი ინვესტორის თემურ უგულავას შესახებ, რაც გადაცემაში არ ასახულა. ჟურნალისტს თემურ უგულავა რეპორტაჟის მსვლელობისას არც კი უხსენებია. აშკარაა, რომ ჟურნალისტი მანიპულირებს კანაფის ბიზნესთან ბიძინა ივანიშვილის ინტერესებით და ცდილობს მაყურებელი დაარწმუნოს ივანიშვილის მარიხუანის მრავალმილიონიან ბიზნესთან კავშირში, მაშინ როდესაც გადაცემის ეთერში გასვლამდე რეალური მფლობელის მიერ გავრცელდა განცხადება, რაც ჟურნალისტმა გადაცემაში არ გააშუქა.

გადაცემაში დაირღვა ინფორმაციის სიზუსტის პრინციპი და ადგილი ქონდა ფაქტების განზრახ დამახინჯებას.

„ინგა გრიგოლიას რეაქციაში“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ევროპული საქართველო“ (შვიდჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (შვიდჯერ), „ლელო“ (ხუთჯერ), „გირჩი“ (ერთხელ), გამარჯვებული საქართველო (სამჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (სამჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ოთხჯერ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ორჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), მოძრაობა ხალხისთვის (ორჯერ), „პარტია სამართლიანობისთვის“ (ერთხელ), „სოლიდარობის ალიანსი“ (ორჯერ), „ტრიბუნა“ (ერთხელ).

ამავე გადაცემაში პოლიტიკურ პარტიებს შორის დებატები შედგა: „სოლიდარობის ალიანსის“, „სტრატეგია აღმაშენებლის“, „ევროპული საქართველოს“, „ლელოს“, გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, „თავისუფალი საქართველოს“, „ლეიბორისტული პარტიის“, „მოძრაობა ხალხისთვის“, „გამარჯვებული საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის.

საანგარიშო პერიოდში გადაცემა **„საჯარო პოლიტიკას“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ევროპული საქართველო“ (ხუთჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ოთხჯერ), „ლელო“ (ოთხჯერ), „გირჩი“ (სამჯერ), „გამარჯვებული საქართველო“ (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ორჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ორჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველო“ (ორჯერ), „სოლიდარობის ალიანსი“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატები“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ), „პარტია სამართლიანობისთვის“ (ერთხელ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (ერთხელ), „მოძრაობა სოციალური სამართლიანობისთვის“ (ერთხელ) და ერთხელ დამოუკიდებელი კანდიდატი ბიძინა გეგიძე.

სამონიტორინგო პერიოდში გადაცემებში **„საჯარო პოლიტიკა“** და **„ინგა გრიგოლიას რეაქცია“,** სადაც დაპირისპირებული მხარეებიც იყვნენ მოწვეული, ცხარე დისკუსია რამდენჯერმე შეურაცხმყოფელ მიმართვებში გადაიზარდა.

რამდენიმე გადაცემაში ღია მხარდაჭერა დაფისქირდა ოპოზიციური კანდიდატების მიმართ. ელენე ხოშტარიას ჩართვის დროს, 17 სექტემბერს, გადაცემაში „რეაქცია“ ინგა გრიგოლიამ განაცხადა:

„....მე რომ ვაკის ამომრჩეველი ვიყო, ალბათ თქვენ მოგცემდით ხმას, ეს ჩემი საავტორო გადაცემაა და აუცილებლად მივცემ ჩემს თავს ამის თქმის უფლებას სხვადასხვა მიზეზების გამო, ამ მიზეზების ჩამოთვლას ახლა არ დავიწყებ, უბრალოდ, მე გამიხარდებოდა თქვენი ნახვა საქართველოს პარლამენტში.... ვწუხვარ, რომ ვაკის ამომრჩეველი არ ვარ, ამას გეუბნებით გულწრფელად, ამას გეუბნებით პირდაპირ...“. ინგა გრიგოლიამ დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომ საავტორო პროგრამის წამყვანმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი მდგომარეობა საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისათვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა დაფიქსირდა 25 სექტემბრის გადაცემაში „პოლიტიკური პარასკევი“. ნანუკა ჟორჟოლიანს მიმართა ეკა მიშველაძემ: „...ნანუკა, მე დარწმუნებული ვარ, რომ გაიმარჯვებ, იმიტომ, რომ ნანუკა არის ის ადამიანი, აი, მე რომ ვიყო ახლა იმ ოლქში ამორჩეველი, აუცილებლად მივცემდი აი ასეთ საიმედო, სანდო ადამიანს, თან ცნობადი სახეა და მგონია, რომ ძალიან გაუჭირდებათ მასთან კონკურენცია."

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში **„პოლიტიკური პარასკევი“** პოლიტიკური პარტიებიდან მონაწილეობდნენ: „ევროპული საქართველო“ (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ექვსჯერ), „ლელო“ (ორჯერ), „მწვანეთა პარტია“ (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ერთხელ), „ტრიბუნა“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტია“

(ერთხელ), „პარტია სამართლიანობისთვის“ (ერთხელ) და ერთხელ დამოუკიდებელი კანდიდატი ბიძინა გეგიძე.

გადაცემა **„დღის ამბებში“,** რომელიც ყოველდღე სამჯერ გადის ეთერში, მონაწილეობდნენ: „ევროპული საქართველო“ (ორმცდაექვსჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (სამოცდარვაჯერ), „ლელო“ (ოცდაათჯერ), „გირჩი“ (ცხრაჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (თხუთმეტჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ცხრაჯერ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ორჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ცხრაჯერ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), „სოლიდარობის ალიანსი“ (რვაჯერ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ), „პარტია სამართლიანობისთვის“ (ექვსჯერ), „გამარჯვებული საქართველო“ (ოთხჯერ), „ემსახურე საქართველოს“ (სამჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), თამაზ მეჭიაური „ერთიანი საქართველოსთვის“ (სამჯერ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (ოთხჯერ), „მოძრაობა ხალხისთვის“ (ორჯერ), „საქართველოს მწვანეთა პარტია“ (ერთხელ), დამოუკიდებელი კანდიდატები ბიძინა გეგიძე (ერთხელ) და თამარ მაყაშვილი (ერთხელ).

გადაცემაში **„პირველი ხაზი“** მონაწილეობდნენ პოლიტიკური პარტიები: „გამარჯვებული საქართველო“ (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (ორჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (რვაჯერ), „ლელო“ (ორჯერ), „პარტია სამართლიანობისთვის“ (ერთხელ) და ერთხელ დამოუკიდებელი კანდიდატები ბიძინა გეგიძე.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ პირველის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


ტვ პირველი
37.7%
22.9%
12.1%
7.9%
3.8%
3.8%
2.1%
1.5%
1.3%
1.3%
1.0%
1.0%
0.8%
2.8%
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
საქართველოს მთავრობა
ევროპული საქართველო
სტრატეგია აღმაშენებელი
ლელო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ადგილობრივი მთავრობა
გირჩი
დემოკრატიული მოძრაობა
ქართული მარში
ეკა ბესელია-პ.პ. სამართლიანობისთვის
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული მარში 89% 11%
ეკა ბესელია-პ.პ. სამართლიანობისთვის 7% 93%
დემოკრატიული მოძრაობა 12% 88%
გირჩი 61% 39%
სტრატეგია აღმაშენებელი 54% 46%
ლელო 38% 62%
ლეიბორისტული პარტია 45% 55%
პატრიოტთა ალიანსი 80% 20%
ევროპული საქართველო 52% 48%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" 65% 35%
ქართული ოცნება 73% 27%
ადგილობრივი მთავრობა 83% 17%
საქართველოს მთავრობა 80% 20%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
2%
58%
40%
42%
58%
16%
36%
48%
2%
78%
20%
5%
76%
20%
11%
39%
50%
9%
89%
2%
3%
96%
6%
82%
12%
78%
22%
11%
89%
99%
1%
13%
87%
საქართველოს მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
დემოკრატიული მოძრაობა
ეკა ბესელია-პ.პ. სამართლიანობისთვის
ქართული მარში


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
2%
40%
58%
16%
48%
2%
20%
5%
20%
11%
50%
6%
12%
22%
11%
87%
საქართველოს მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
სტრატეგია აღმაშენებელი
ვირჩი
დემოკრატიული მოძრაობა
ქართული მარში


გენდერი
18%
82%
ქალი
კაცი

შპს „მთავარი არხი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 37.6% (პოზიტიური - 21%, ნეგატიური - 3%), „ქართული ოცნება“ - 32.1% (პოზიტიური - 1%, ნეგატიური - 62%), საქართველოს მთავრობა - 10.5% (პოზიტიური - 0%, ნეგატიური - 37%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - არხის სახეები და ჟურნალისტები ღიად ახდენენ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების დეკლარირებას და მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას მმართველი პარტიისა და რამდენიმე პოლიტიკური პარტიის მისამართით. აღნიშნული ახასიათებს როგორც საავტორო გადაცემებს, ისე საინფორმაციო გამოშვებებს.

მმართველი გუნდის წარმომადგენლები უარს ამბობენ მთავარი არხის გადაცემებში სტუმრობაზე, ამდენად, არხის გადაცემებში არ არის წარმოდგენილი მმართველი პარტიის და მთავრობის წარმომადგენლების პოზიციები. თავად არხის ჟურნალისტები არ ცდილობენ დააბალანსონ ინფორმაცია, ან სხვა პოლიტიკოსების მიერ გაჟღერებული განცხადებები, რაც მაყურებლის ცალმხრივ და მიკერძოებულ ინფორმირებას იწვევს.

სისტემატურად ხდება მმართველი პარტიის მოხსენიება როგორც რუსეთის ინტერესების გამტარის. მმართველი პარტია მოხსენიებული იყო უარყოფით კონტექსტში მაშინაც კი, როცა საკითხი სხვა საარჩევნო სუბიექტს ეხებოდა (22.09 – „ოცნების მოკავშირე „ქართული მარში“, რომელიც დავალებებს რუსეთისგან იღებს). არხისათვის მიუღებელ პოლიტიკურ სუბიექტს, „ქართული ოცნების“ გარდა, წარმოადგეს „პატრიოტთა ალიანსი“. ძალიან მაღალია უარყოფით კონტექსტში „ქართლი ოცნების“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის მოხსენიების სიხშირე. მისი მისამართით წამყვანები და ჟურნალისტები მკვეთრად ნეგატიურ შეფასებებს იყენებენ და ცდილობენ მისი და მმართველი პარტიის დისკრედიტაციას. მაგალითად, 5 სექტემბერს გასულ „შაბათის მთავარში“ 9 სიუჟეტიდან 4 უშუალოდ ბიძინა ივანიშვილს მიეძღვნა და ცალსახად ნეგატიური იყო. სიუჟეტები აგებული იყო ჟურნალისტების მოსაზრებებზე და არ იყო წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები.

საინფორმაციოს წამყვანები სიუჟეტების წარდგენისას იყენებენ გამოთქმებს: „ოცნება ისტერიკაშია“ „კრახი“ და ა.შ. წამყვანებისა და ჟურნალისტების ნეგატიური შეფასებების და ეპითეტების ობიექტები არიან მმართველი პარტიის და სამთავრობო გუნდის სხვა ლიდერებიც. ხშირად მათი სახელების და გვარების მოხსენიება არარელევანტურია და საერთოდ არ უკავშირდება კონკრეტულ ინფორმაციას.

საინფორმაციო გამოშვებებში გვხვდება ისეთი ახალი ამბები, რომლის დროსაც ფაქტები თითქმის არ არის გამოკვლეული, სამაგიეროდ მთელი ახალი ამბავი აგებულია პოლიტიკური ოპონენტების მკვეთრ შეფასებებზე და იმ ექსპერტების მოსაზრებებზე, რომლებიც ირიბად თუ პირდაპირ აფილირებულები არიან რომელიმე ოპოზიციურ ძალასთან. მაგალითად, 23.09 - „ნამახვანჰესის მშენებლობა"; 25.09 - „ოცნების მევახშე დეპუტატები" - ეყრდნობა მხოლოდ „ლელოს" წარმომადგენლის განცხადებებს - ფაქტები არ არის გამოკვლეული;

არარელევანტური და მკვეთრად მიკერძოებული იყო კოვიდპანდემიის გაშუქება. ძირითადად საკითხზე სასაუბროდ იწვევდნენ კონკრეტული პარტიების წარმომადგენლებს. ხდებოდა სიტუაციის შეფასება როგორც - კატასტროფა, უიმედო, ჩამოშლილი, რაც შესაძლოა ხელს უწყობდეს მოსახლეობაში პანიკის დათესვას.

მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ხდებოდა გარკვეული ინფორმაციების მიზანმიმართულად გამოტოვება. მაგალითად, მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ მოხვდა ისეთი მნიშვნელოვანი ახალი ამბავი, როგორიც იყო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში, სადაც საქართველოს პროგრესი და მთავრობის საქმიანობა მთლიანობაში დადებითად შეფასდა; აზერბაიჯანის პრეზიდენტის განცხადება გავრცელებულ დეზინფორმაციასთან დაკავშირებით, თითქოს სომხეთი საქართველოს გავლით იღებდა იარაღს; პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ბრიუსელში, რომლის დროსაც გაიმართა შეხვედრები ნატო-ს და ევროკავშირის ხელმძღვანელობასთან.

სექტემბრის განმავლობაში არხზე ყველაზე ხშირად იწვევდნენ საარჩევნო ბლოკის გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას" წარმომადგენლებს, რომელთა მისამართით არხის ყველა ჟურნალისტის დამოკიდებულება პოზიტიური ან ნეიტრალურია, თითქმის არ ისმება კრიტიკული შეკითხვები და არ ხდება მათი მოსაზრებების, ან მათ მიერ გაჟღერებული დაუდასტურებელი ინფორმაციის დაზუსტების მცდელობა წამყვანების მიერ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები - საანგარიშო პერიოდში **„დღის სტუმარში"** სტუმრობდნენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" (ოცდაცამეტჯერ); „ევროპული საქართველო" (თხუთმეტჯერ); „ლელო" (თერთმეტჯერ); „ტრიბუნა" (ერთხელ); „პარტია სამართლიანობისათვის" (ერთხელ), „სოლიდარობის ალიანსი" (ერთხელ); „ემსახურე საქართველოს" (ერთხელ) და „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები" (ერთხელ).

„ღამის მთავარში" სტუმრობდნენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" (შვიდჯერ); ევროპული საქართველო (ხუთჯერ); „ლელო" (ერთხელ); „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები" (ერთხელ); „სტრატეგია აღმაშენებელი" (ორჯერ) და „გირჩი" (ერთხელ).

„მთავარი აქცენტები“ – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ოთხჯერ); „ევროპული საქართველო“ (ერთხელ); „ლელო“ (ერთხელ); „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ); „გირჩი“ (ერთხელ) და „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ერთხელ).

აღნიშნული გადაცემის წამყვანი, რომელიც ამავე დროს არხის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორია, ეთერში ხშირად იყენებს უცენზურო გამონათქვამებს, ამჟღავნებს უაღრესად ნეგატიურ დამოკიდებულებას მმართველი პარტიის მისამართით. მისი მონოლოგები გაჯერებულია სიძულვილის ენით. მაგალითად, იყენებს მიმართვას: „თქვე უპატრონოებო“, „გაუნათლებლებო“, „სირი” (20.09, 27.09). 27 სექტემებერს განთავსებული გადაცემის ფარგლებში კი რამოდენიმეჯერ დედის გინების შემთხვევები დაფისქირდა.

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„მთავარი დებატები“** წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ექვსჯერ); „ევროპული საქართველო“ (ოთხჯერ); „ლელო“ (ორჯერ); გირჩი (ერთხელ); „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ერთხელ); „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ); „გამარჯვებული საქართველო“ (ორჯერ); „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ) და „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (ერთხელ).

„მთავარი დებატები“ არხზე გავიდა 12 სექტემბრიდან (ეთერში გადის კვირაში ერთხელ); სტუდიაში ერთად არიან წარმოდგენილი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და მიმდინარე პოლიტიკურ თემებს განიხილავენ. წამყვანმა პირველივე გადაცემაში აღნიშნა, რომ მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ უარს ამბობს ითანამშრომლოს კრიტიკულ მედიასთან.

ამავე გადაცემაში პოლიტიკურ პარტიებს შორის დებატები შედგა:

1) გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და რესპუბლიკელების წარმომადგენლები), „ევროპული საქართველო“;

2) ლეიბორისტული პარტია, გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, „ევროპული საქართველო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „დემოკრატიული მოძრაობა“, „გამარჯვებული საქართველო“, „ლელო“, „გირჩი“;

3) გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, „ევროპული საქართველო“;

4) „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“, „ლელო“, „გამარჯვებული საქართველო“.

კვირის საზოგადოებრივ-ანალიტიკურ გადაცემაში **„პოსტ ფაქტუმი“** - წინასაარჩევნოდ ორი რუბრიკა იქნა განთავსებული: „სამაჟორიტარო ოლქების კანდიდატები“ და „კითხვები და პასუხები“.

აღნიშნული რუბრიკების ფარგლებში სექტემბერში გადაცემამ დრო დაუთმო შემდეგ სუბიექტებს: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ოთხჯერ); „ლელო“ (ოთხჯერ); „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ერთხელ); „ტრიბუნა“ (ერთხელ); „ევროპული საქართველო“ (ერთხელ); „პარტია სამართლიანობისათვის“ (ორჯერ); „ჩვენი საქართველო“ (ორჯერ); „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (ერთხელ); გირჩი (ერთხელ) და „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ).

„ქართული ოცნების“ კანდიდატების გაშუქებისას (ისნის მაჟორიტარები), მაუწყებელი იყენებდა შავ ფონს, რადგან „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა უარი თქვეს ინტერვიუს მიცემაზე. შემდეგ ეს პრაქტიკა შეიცვალა და მაუწყებელი უჩვენებს ბილბორდებს „ქართული ოცნების“ კანდიდატების გამოსახულებით. კანდიდატების გაშუქებისას თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ განსაკუთრებულად დიდი დრო ეთმობა გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთბაშიას“ კანდიდატს (მაგ. ისნის მაჟორიტარების შემთხვევაში, წყალტუბოს მაჟორიტარის შემთხვევაში).

გადაცემაში **„შაბათის მთავარი“** 5 სექტემბერს გავიდა სიუჟეტი კრიმინალურ ავტორიტეტის მინდია ლავასოღლის შესახებ. მაუწყებელი აცხადებდა, რომ მისი „წყაროს“ მტკიცებით, მინდია ლავასოღლი მინსკიდან სპეცრეისით ჩამოიყვანეს საქართველოში, თუმცა, არავითარი მტკიცებულება მაყურებლისთვის არ წარმოუდგენია. არც ერთი რესპონდენტი ამას არ ადასტურებდა, პირიქით, ახლო მეგობრები, ნათესავები ამბობდნენ, რომ არასწორი ინფორმაციაა და მინდია ლავასოღლი კვლავ მინსკში იმყოფება. სიუჟეტის ბოლოს გაკეთდა ვარაუდი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის მიერ, რომ კრიმინალური ავტორიტეტები ხელისუფლებას არჩევნებისთვის ჭირდება, ჟურნალისტმა კი ასეთი ფრაზით დაასრულა: „სავარაუდოდ ბიძინა ივანიშვილს უკვე გადაწყვეტილი აქვს რომელ ქალაქს რომელ კრიმინალურ ავტორიტეტს ჩააბარებს.“

საანგარიშო პერიოდში საარჩევნო სუბიექტები ფიგურირებდნენ გასართობ გადაცემებში. გადაცემაში **„მხოლოდ ლელასთან“** წარმოდგენილი იყო გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ). გადაცემაში **„ვანოს შოუ“** წარმოდგენილნი იყვნენ გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ორჯერ) და „ლელო“ (ერთხელ). გადაცემაში **„წიწაკები“** წარმოდგენილი იყო გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ). გადაცემაში **„მთავარი ბიჭები“** წარმოდგენილი იყო „გირჩი“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში არხზე გავიდა პუბლიცისტური ფილმი „მიშას დევნის ანატომია“, რომელშიც ავტორები გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ პრემიერობის კანდიდატის მიმართ წაყენებული ბრალის აბსურდულობას ამტკიცებენ. ფილმის ერთ-ერთი

ავტორი მოგივანებით გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ საარჩევნო სიაში აღმოჩნდა.

„მთავარი არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ეკა ბესელია-პ.პ. სამართლიანობისთვის
23%
77%
დემოკრატიული მოძრაობა
14%
86%
გირჩი
49%
51%
სტრატეგია აღმაშენებელი
39%
61%
ლელო
36%
64%
ლეიბორისტული პარტია
26%
74%
პატრიოტთა ალიანსი
84%
16%
ევროპული საქართველო
26%
74%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
48%
52%
ქართული ოცნება
82%
18%
ადგილობრივი მთავრობა
73%
27%
საქართველოს მთავრობა
72%
28%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
63%
37%
46%
54%
37%
62%
1%
21%
76%
3%
9%
89%
2%
55%
45%
100%
100%
100%
100%
99%
1%
100%
საქართველოს მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა...
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
დემოკრატიული მოძრაობა
ეკა ბესელია-პ.პ. სამართლიან...


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
37%
54%
62%
1%
3%
21%
2%
9%
45%
საქართველოს მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი


გენდერი
58%
42%
ქალი
კაცი

<u>წინასაარჩევნო გარემო, დარღვევები და რეკომენდაციები:</u>

საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნულ 6 მაუწყებელზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ:

საინფორმაციო გამოშვებები ძირითადად დაბალანსებული და ეთიკური სტანდარტების დაცვით განთავსებულია საზოგადოებრივ მაუწყებელზე, მეტწილად საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაზე და „რუსთავი 2“-ზე.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე და „რუსთავი 2“-ზე განთავსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები და მათი წამყვანები გამოირჩევიან კრიტიკული ანალიზით და მიდგომებით, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, რაც ხელს უწყობს ამომრჩევლის მეტ ინფორმირებულობას. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტ საარჩევნო სუბიექტს ეთერი საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაუთმო.

„ტელეიმედის“, „ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ მაგალითზე მედია მონიტორინგის ანალიზი ცხადყოფს, თუ რაოდენ პოლარიზებულია წინასაარჩევნო მედია გარემო. ცალსახაა მიკერძოება სხვა და სხვა მხარის მიმართ. საინფორმაციო გამოშვებები, ისევე როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამები, გამოირჩევა ბალანსის დაუცველობით და ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევებით.

„ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ პროგრამებში გვხვდება შეცდომაში შემყვანი, ყალბი ინფორმაცია, ისმის მძიმე ბრალდებები, რომლებიც არ არის გამყარებული მტკიცებულებებით, ხშირია ეთიკური ნორმების დარღვევა, ხოლო „მთავარ არხზე“, ასევე, სიძულვილის ენის და უცენზურო ლექსიკის გამოყენების შემთხვევები.

ზემოაღნიშნული მაუწყებელთა ქცევის კოდექსის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. მათზე რეაგირება და განხილვა, მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში არის შესაძლებელი, ხოლო მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება არც კომუნიკაციების კომისიაში და არც სასამართლოში.

საკანონმდებლო მოთხოვნების ის ნაწილი, რომელიც ფორმალურ ვალდებულებებს აწესებს (მაგ. პოლიტიკური რეკლამის მიმდინარეობისას დადგენილი სტანდარტების (პოლიტიკური პარტიის დასახელების და რიგითი ნომრის ზომა, სურდოთარგმანი, საზოგადოებრივი აზრის კვლევების გამოქვეყნებისას მაყურებლისათვის სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაცია) ძირითადად დაცულია და მათი აღსრულება მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე მიმდინარეობს.

კომუნიკაციების კომისიამ წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესის დარღვევის გამო 2 მაუწყებელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა და შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის (საქალაქო/რაიონულ) სასამართლოს გადაუგზავნა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 185-ე მუხლის მე-20 პუნქტის შესაბამისად, „პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და მისი რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი უნდა იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 5%-ს. ამასთანავე, რეკლამა ისე უნდა იყოს დამზადებული, რომ მისი დასრულებისას, არანაკლებ ბოლო 1 წამის განმავლობაში ნაჩვენები იყოს საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება და რიგითი ნომერი, რომლის ერთიანი კონტურების ჯამი უნდა იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 25%-ს.“

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთ მაუწყებელში განთავსდა „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის“ სარეკლამო რგოლი, რომელიც არ აკმაყოფილებდა საარჩევნო კოდექსის ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს, კერძოდ სარეკლამო რგოლის დასრულებისას ნაჩვენები საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების და რიგითი ნომრის ერთიანი კონტურები არ იკავებდა კადრის ფართობის 25%-ს და ის მხოლოდ 13.1%-ს შეადგენდა.

აღნიშნული დარღვევის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შემდეგი ორგანიზაციების მიმართ შედგა:

– შპს „ტელეკომპანია პირველი“

– შპს „ფორმულა“

კომისიამ განიხილა 2 საჩივარი საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით:

1. პ/გ „თავისუფალი საქართველოს“ საჩივარი, რომლის თანახმადაც, პოლიტიკურმა გაერთიანებამ მაუწყებლებს განსათავსებლად წარუდგინა ორი პოლიტიკური შინაარსის ვიდეო რგოლი, რომლებიც ეთერში არ განათავსეს შპს „ტელეკომპანია პირველმა“, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-მა, სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიომ“.

   კომისიამ საკითხის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ პოლიტიკური გაერთიანების მიერ წარდგენილი სარეკლამო რგოლები არ აკმაყოფილებდა საკანონმდებლო მოთხოვნებს და მუწყებლებს არ ჰქონდათ მათი განთავსების ვალდებულება. . შესაბამისად, კომისიამ 2020 წლი 24 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება Nგ-20-16/765

საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილება შეგიძლიათ იხილოთ კომისიის ვებ-გვერდზე - https://comcom.ge/uploads/other/6/6540.pdf

2. პ/გ „ლელო საქართველოსთვის“ საჩივარი - რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2020 წლის 15 სექტემბრიდან შპს „ტელეკომპანია პირველის“, შპს „ტელეიმედის“, შპს „მთავარი არხისა“ და შპს „ტელეკომპანია მაესტროს“ ეთერით გადაიცემოდა პ/გ „თავისუფალი საქართველოს“ უფასო პოლიტიკური რეკლამა, რომელიც წარმოადგენდა არასათანადო რეკლამას, მიმართული იყო მოსახლეობის შეცდომაში შეყვანისა და პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისაკენ.

   კომისიამ მსჯელობის შედეგად აღნიშნა, რომ განსახილველი რეკლამა არ წარმოადგენდა არაეთიკურ რეკლამას და ამასთან მაუწყებელს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გადაამოწმოს პოლიტიკურ რეკლამაში აღნიშნული კონკრეტული ფაქტები შეესაბამება სიმართლეს თუ არა. მაუწყებლისთვის ასეთი ინფორმაციის მოძიება მის შესაძლებლობის ფარგლებს სცდება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მაუწყებელთან ერთდროულად მიტანილი წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამების რაოდენობა, წინასაარჩევნო პერიოდში საკმაოდ დიდია. შესაბამისად, ამგვარი ინფორმაციის მოპოვება სცდება მაუწყებლის კომპეტენციას და არ წარმოადგენს მის ვალდებულებას. შესაბამისად, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2020 წლის 08 ოქტომბერს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. გადაწყვეტილება შეგიძლიათ იხილოთ კომისიის ვებ-გვერდზე - https://www.comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2020--20-16-793.page.

კომუნიკაციების კომისიამ 3 მაუწყებელი წერილობით გააფრთხილა:

საარჩევნო კოდექსით დადგენილი წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფის წესების თანახმად, მაუწყებელი, რომელიც გეგმავს ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ეთერში განთავსებას ვალდებულია აცნობოს კომისიას მის მიერ გამოყოფილი გრაფიკისა და ტარიფების შესახებ. კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი ან ავტორიზებული მაუწყებლები ვალდებულნი არიან კომისიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით კომუნიკაციების კომისიას გადასცენ ინფორმაცია ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად საეთერო დროის ტარიფების შესახებ. კომისიისათვის აღნიშნული ინფორმაციის გაგზავნა უნდა მოხდეს კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-60 დღიდან 5 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო კომუნიკაციების კომისიამ წერილობით 3 რადიომაუწყებელი გააფრთხილა:

1. შპს „რადიო ჯორჯიან თაიმსი“ - https://comcom.ge/uploads/other/6/6537.pdf

2. შპს „ჩვენი რადიო“ - https://comcom.ge/uploads/other/6/6538.pdf
3. შპს „რადიოკომპანია პირველი რადიო“ - https://comcom.ge/uploads/other/6/6539.pdf

საარჩევნო სუბიექტები არაპოლიტიკურ გადაცემებში: კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია კომუნიკაციების კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის, ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილოების შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები, ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.

<u>მაუწყებლების მხრიდან კანდიდატებს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების შესაძლებლობა შემდეგ არაპოლიტიკურ გადაცემებში მიეცათ:</u>

„ტელეიმედის“ ეთერში - გადაცემაში **„იმედის დილა“** წარმოდგენილი იყო „ქართული ოცნება“ (ერთხელ). გადაცემაში **ღამის შოუ** მონაწილეობდა „ქართული ოცნება“ (სამჯერ). ასევე, გადაცემაში **„სპორტი იმედზე“** „ქართული ოცნება“ (ერთხელ).

„რუსთავი 2“-ის ეთერში - **„დილა მშვიდობისა, საქართველოს“** სტუმრობდნენ: „სტრატეგია აღმაშენებლის“ (ერთხელ), „ქართული ოცნება“ (ერთხელ), „მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. **„ნიკა არაბიძის შოუში“** მოწვეულები იყვნენ: „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებლის“ (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ) და „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენლები. **„ფარულ კონვერტს“** კი 1 საარჩევნო სუბიექტი, „სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენელი, სტუმრობდა (ერთხელ).

„მთავარი არხის“ ეთერში - გადაცემაში **„მხოლოდ ლელასთან“** წარმოდგენილი იყო გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ). გადაცემაში **„ვანოს შოუ“** წარმოდგენილნი იყვნენ გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ორჯერ) და „ლელო“ (ერთხელ). გადაცემაში **„წიწაკები“** წარმოდგენილი იყო გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთელ). გადაცემაში **„მთავარი ბიჭები“** წარმოდგენილი იყო „გირჩი“ (ერთხელ).